სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 27/ე

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2013 წლის 31 ოქტომბერს

ქ.თბილისი რუსთაველის №16

შემსყიდველი: სსიპ "საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი "ერისიონი" – წარმომადგენელი გენერალური მენეჯერი – ოთარ ბლუაშვილი.
საიდენტიფიკაციო კოდი: 203827485; **მისამართი:** ქ.თბილისი, რუსთაველი №16;
საკონტაქტო ტელეფონი: (832) 299-79-49; E-mail: erisionigt@gmail.com
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს "პროკრედიტ ბანკი" ბანკის კოდი: MIBGGE22
ანგარიში: №GE57PC0293600100008954;

მიმწოდებელი: შპს "მბს"
წარმომადგენელი – დირექტორი – ანა ნებულიშვილი (პ/ნ 01027024807)
საიდენტიფიკაციო კოდი: 203838277
მისამართი: ქ. თბილისი ვირსალაძის №8

საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიში: GE55BT1888936020100005;

ერთის მხრივ, **შემსყიდველი** და მეორეს მხრივ, **მიმწოდებელი** ადასტურებენ, რომ საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი -CPV-30200000 - კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები, კერძოდ: კარტრიჯის დამუხტვა:1 ცალი ერთეულის ფასი 20 ლარი; კარტრიჯის ბარაბნის გამოცვლა: 1 ცალი, ერთეულის ფასი 40 ლარი; მაუსის შეძენა:1 ცალი, ერთეულის ფასი 8 ლარი; უკაბელო ინტერნეტის როუტერი (TR-LINK-TL-WR740N WIRELESS N ROUTER) 1 ცალი ერთეულის ფასი 33 ლარი და მისი მონტაჟი 18 ლარი: სულ 119 ლარი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 **ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება არის:**

119 ლარი (ასცხრამეტი ლარი)

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

2.2 საქონლის ფასში ანუ ხელშეკრულების მთლიან ღირებულებაში გათვალიწინებულია მიმწოდებლის ყველა ხარჯი, მათ შორის, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გადასახადები;

2.3 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2.4 შესყიდვის საფუძველი: მონეტარული ზღვრების დაცვით.

2.5 დაფინანსების წყარო: ეკონომიური შემოსავალი.

მუხლი 3. მიწოდების წესი და ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ.თბილისში რუსთაველის №16-ში არაუგვიანეს **2013 წლის 10 ნოემბრამდე;**

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას - მიღება-ჩაბარებისას შემსყიდველს გადაცეს კანონმდებლობით გათვალიწინებული შესაბამისი დოკუმენტაცია;

3.3 ამ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით, შემსყიდველი გამოყოფს შესაბამის უფლებამოსილ პირს, კერძოდ: სსიპ "საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი "ერისიონი"-ის წარმომადგენელს-გენერალურ მენეჯერს – ოთარ ბლუაშვილს, რომლის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა-კონტროლი;

3.4 თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალიწინებული, შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება შესაბამისი დოკუმენტის გაფორმების საფუძველზე, კერძოდ: 3.3 პუნქტში აღნიშნული პირისა და მიმწოდებლის მხრიდან უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საუფუძველზე;

3.5 ხელშეკრულების პიროებების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე;

3.6 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი ორგანიზაცია;

3.7 მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის (თანმდევი საქონლის) ხარისხზე;

3.8 თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3.9 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებულ, უხარისხო (წუნდებულ), არასათანადოდ შეფუთულ და/ან არასრული მოცულობით წარმოდგენილ შესყიდვის ობიექტზე.

3.10 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

მუხლი 4. ანგარიშსწორების წესი

4.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **5**

დღის განმავლობაში კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე;

4.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ეროვნული ვალუტა - ლარი.;

4.3 გადახდის ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება;

მუხლი 5. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დააკისროს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების **0,2** %-ის ოდენობით, ხოლო მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში – ხელშეკრულების ღირებულების **3%-ის** ოდენობით;

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

6.2 ამ მუხლის ფარგლებში "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მიმწოდებლის შეცდომებსა და/ან დაუდევრობასთან და რომელთა გათვალისწინებაც შეუძლებელი იქნებოდა წინასწარ. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირებით და სხვა.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2013 წლის 15 ნოემბრამდე** ;და/ან მხარეთა მიერ თავის მოვალეობების სრულ შესრულებამდე.

7.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7.3 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

7.4 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილ შემთხვევაში;

7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

7.6 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ "საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი "ერისიონი"	შპს "მგს"
წარმომადგენელი - გენერალური მენეჯერი	დირექტორი
ოთარ ბლუაშვილის	ანა ნებულიშვილი
ხელმოწერა: ----------	ხელმოწერა: ----------

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი **5 ნოემბერი 2013 წელი**

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრის შემსყიდველის მხრიდან - სსიპ "საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი "ერისიონი" - წარმომადგენელი – ოთარ ბლუაშვილი, ხოლო მეორეს მხრივ საქონლის მიმწოდებელი შპს "ბმს"-ს (ს/კ 203838277) დირექტორი ანა ნებულიშვილი ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს, მასზედ, რომ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2013 წლის 31 ოქტომბერს №27/ე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელმა მიაწოდა, ხოლო შემსყიდველის წარმომადგენელმა 2013 წლის 5 ნოემბერს ჩაიბარა **119 ლარის ღირებულების შესყიდვის ობიექტი,** რაც დასტურდება შესაბამისი ხელმოწერით.

შემსყიდველის მხრიდან;

ვეთანხმები ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის იდენტიფიკაციის, ტექნიკურ და ხარისხოვრივ მაჩვენებლებს და ჩავიბარე:

გვარი და სახელი: ოთარ ბლუაშვილი ----------

მიმწოდებელის მხრიდან:

ჩავაბარე:

ანა ნებულიშვილი ----------